

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტსა

და

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს

შორის

ქ.თბილისი

2016წ.

წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) მიიღწევა ქ.თბილისში, 2016 წლის 25თებერვალს

ერთის მხრივ, ა.ა.ი.პ. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა
ინსტიტუტი (შემდგომში „ჯიპა“), მის: ქ.თბილისი, ი.გურჯის 7ბ.
წარმოდგენილი მისი რექტორის მარინე იოსელიანის სახით

და

მეორეს მხრივ, სსიპ.სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(შემდგომში „უნივერსიტეტი“) მის: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 106,
წარმოდგენილი მისი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით

1. მემორანდუმის მიზნები

წინამდებარე მემორანდუმის გაფორმების მიზანია მხარეთა ერთობლივი ინტერესი ურთიერთთანამშრომლობის გზით ხელი შეუწყონ რეგიონში საგანმანათლებლო კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო პოტენციალის გაზრდასა და გაძლიერებას, ასევე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ითანამშრომლონ საგრანტო წინადადებების მომზადებასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე.

2. მხარეთა ვალდებულებები და ურთიერთობა

- 2.1 წინამდებარე მემორანდუმის მხარეები ვალდებული არიან შეასრულონ მემორანდუმის პირობები კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, წარმართონ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობა ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის პრინციპებზე.
- 2.2 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეუთანხმონ ერთმანეთს ნებისმიერი პირობები, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

3. მემორანდუმის მოქმედების ვადა და ცვლილებების შეტანის პირობები

- 3.1 მხარეებს შეუძლიათ, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, შეიტანონ ცვლილებები/დამატებები წინამდებარე მემორანდუმში, რომელიც გახდება მემორანდუმის განუყოფელი ნაწილი.
- 3.2 წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით. მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ის შეიძლება გაგრძელებული იქნას ვადის გასვლის შემდეგაც.
- 3.3 ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოშალოს წინამდებარე მემორანდუმი მეორე მხარისათვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.
- 3.4 წინამდებარე მემორანდუმიშედგენილიაქართულ ენაზე 2(ორი)ექზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითო მხარისათვის.

ა.ა.ი.პ. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
რექტორი
მარინე იოსელიანი



ს.ს.ი.პ. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი, პროფესორი
მერაბ ბერიძე

